ფონდი აღწერილობა საქმე ფურცელი

250

249

287 1 249

287 1 249

დასკანირებულია 14
16.01.2025

13.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა ოსეთი

საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო, სტალინირის საქალაქო კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ორგანო

САБЧОТА ОСЕТИ

ОРГАН ЮГО-ОСЕТИНСКОГО ОБКОМА, СТАЛИНИРСКОГО ГК КП ГРУЗИИ И ОБЛАСТНОГО СОВЕТА ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ

САБЧЪОТА ОСЕТИ

ГКП ХУССАР ИРЫСТОНЫ ОБКОМЫ, СТАЛИНИРЫ ГК ÆМÆ ФÆЛЛОЙГÆНДЖЫТЫ ДЕПУТАТТЫ ОБЛАСТОН СОВЕТЫ ОРГАН

გამოცემის 25-ე წელი.
№ 225 (6327)

პარასკევი. 15 ნოემბერი. 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 12 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ი. ქადაგიძის მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური მშენებლობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა გადაწყვიტა საქართველოს კომპარტიის მორიგი XVIII ყრილობა მოწვეულ იქნას 1958 წლის 27 იანვარს. პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ი. ფედიუნინსკი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. კ. კ. როკოსოვსკი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

დავეუფლოთ საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას

ჩვენი სამშობლო მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის დიადი მშენებლობის გზით.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალის ძლავრი ზრდის ბაზაზე ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრა.

პარტიის XX ყრილობამ საბრძოლო პროგრამად დაგვისახა უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია, უმოკლეს ვადაში განხორციელდეს ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციიდან მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა, ძირეულად გაუმჯობესდეს საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების პრომაგანდა და პრაქტიკაში დანერგვა, რათა ყოველივე ამის საფუძველზე მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვის მკვეთრი შემცირება, ყველა კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება.

ღება მიექცეს საწარმოო პროცესების მექანიზაციას.

შარშან ერედვის კოლმეურნეობაში ცენტნერი ხორბლის წარმოებაზე დაიხარჯა 3,82 შრომადღე და 46 მანეთი ფულად, ხოლო მიმდინარე წელს — 2,2 შრომადღე და 27 მანეთი და 52 კაპიკი ფულად. ასევე შემცირდა ხორცის, რძის, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის თვითღირებულება.

მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოს აღმასკომები, მტს-ები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველთვის· როდი მუშაობენ გულმოდგინედ საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში ძალზე მადალია, როგორც ხორბლის, ისე მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა საკვები ბაზის ნაკლებობის გამო პირუტყვისათვის თივის, ნამჯისა და ჩალის შეძენა საჭირო ხდება ოლქის ფარგლებს გარეთ, რაც საგრძნობად ადიდებს ცენტნერი რძის ღირებულებას.

ნიადაგის დამუშავების კულტურის ამაღლების საქმისადმი უპატივცემლობა, ნათესების· მოვლა-პატრონობის აგროტექნიკის უგულებელყოფა იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტუ-

„საბჭოთა ოსეთი"

პარასკევი, 15 ნოემბერი, 1957 წ. № 225 (6327)

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კარგი სახელმძღვანელო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი სახელმძღვანელო გამოუშვა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ერთ-ერთი ასეთი სახელმძღვანელოა დოც. აკაკი თოფურიას „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა", რომელიც ახლახან გამოვიდა. ის განკუთვნილია პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტთა და მასწავლებელთათვის.

ქართული ლიტერატურის მეთოდიკა საგრძნობად ჩამორჩება ჩვენი მდიდარი ლიტერატურის სწავლების მოთხოვნებს. სუსტადაა დამუშავებული ლიტერატურის სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მეთოდური ლიტერატურა ღარიბია. მთელი მისი მემკვიდრეობა ამოიწურება რამდენიმე წიგნითა და ცალკეული მეთოდური სტატიებით. ამ წიგნებმა და სტატიებმა თავის დროზე ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ჩვენს სტუდენტებსა და ახალგაზრდა მასწავლებლებს პედაგოგიურ დაოსტატებაში, მაგრამ მათ არ შეეძლოთ შეეცვალათ მეთოდიკის სისტემატიკური სახელმძღვანელო, რომლის უქონლობას ასე მწვავედ განვიცდიდით აქამდის. სარეცენზიო სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად ავსებს არსებულ ხარვეზს. ამიტომ მის გამოცემას უნდა მივესალმოთ.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა სრულიად ახალგაზრდა მეცნიერული დისციპლინაა: მისი ისტორია ემთხვევა საბჭოთა სკოლის ისტორიას. რევოლუციამდელ ქართულ სკოლას ჩვენთვის ფაქტობრივად არ დაუტოვებია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკური მემკვიდრეობა. არსებული გამოცდილებაც განუზოგადებელი დარჩა. ეს გარემოება კი სახელმძღვანელოს შემდგენელს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა. ამას ზედ უნდა დაემატოს ისიც, რომ ქართული ლიტერატურის სწავლების საკითხებზე ავტორის განკარგულებაში იყო მეტისმეტად მცირე და ისიც დასაზუსტებელი მასალა, რაც აგრეთვე საგრძნობად ართულებდა სახელმძღვანელოს სრულყოფილად შედგენას. ავტორს დასჭირდა გზის დამოუკიდებლად გაკაფვა.

აკ. თოფურიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ხსენებული დაბრკოლებანი წარმატებით დაუძლევია და მოუცია მეცნიერულად და მეთოდიკურად ყოველმხრივ გამართული, ძირითად ნაწილში ორიგინალური სახელმძღვანელო.

„ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" ავტორის მიერ ნავარაუდევია ორ ნაკვეთად: V-VII კლასები და VIII-X კლასები. ჯერჯერობით გამოსულია პირველი ნაკვეთი. ის ორ ნაწილს შეიცავს: ზოგადს და სპეციალურს. ზოგად ნაწილში გაშუქებულია ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ქართული ლიტერატურის მეთოდიკის თავისებურება, კურსის ამოცანები, საგანი, შესწავლის ობიექტი, კვლევა-ძიების ხერხები, წყაროები, მეთოდოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები. მთელ რიგ სხვა პრინციპულ, ამოსავალი ხასიათის დებულებებთან ერთად მეცნიერულად დასაბუთებულია და მისაღები ავტორის სრულიად ახალი დებულება ქართული და რუსული ლიტერატურის სწავლების კოორდინაციის აუცილებლობის შესახებ ჩვენს სკოლებში, რასაც დღემდის ყურადღება არ ექცეოდა. აქვეა დახასიათებული ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი პრინციპები და ძირითადი მეთოდები. ავტორს თვითეული თეორიული და პრაქტიკული საკითხი განხილული აქვს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მოთხოვნების შესაბამისად. წიგნში ფართოდაა გამოყენებული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მონაცემები. მდიდარი ფაქტობრივი მასალების გაანალიზებითაა ნაჩვენები ქართული ლიტერატურის წარმატებით სწავლების გზები. ყოველივე ეს უეჭველად დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და მასწავლებლებს მეთოდიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დაუფლებაში, შეაიარაღებს მათ პედაგოგიური დაოსტატების ხერხებისა და მეთოდების ცოდნით.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი მთლიანად ეძღვნება ძირითად (სპეციალურ) საკითხს — ლიტერატურულ კითხვას. აქ განხილულია V-VII კლასებში ლიტერატურული კითხვის კარდინალური პრობლემები. ავტორი იძლევა ლიტერატურული კითხვის ამჟამად მოქმედი პროგრამების პრინციპებისა და შინაარსის ღრმა ანალიზს, გვაჩვენებს სკოლაში ლიტერატურული კითხვის გზებსა და მეთოდებს, ვრცლად ახასიათებს მის მიზნებს, ამოცანებს, სისტემასა და ორგანიზაციას. სახელმძღვანელოში სამართლიანადაა ხაზგასმული ტექსტზე მუშაობის, საშინაო და საკლასო კითხვის დიდი მნიშვნელობა მოსწავლეთა ლიტერატურული გემოვნების გამომუშავებაში.

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში აღძრული და მეთოდურად სწორადაა გადაწყვეტილი ლიტერატურული კითხვის სწავლების მრავალი საკითხი, რომლებიც მანამდის სათანადოდ გაშუქებული არ ყოფილა. ავტორი ამასთან ერთად იძლევა ლიტერატურული კითხვის გაკვეთილების საორიენტაციო გეგმებს და მათი ანალიზის ნიმუშებს.

სარეცენზიო წიგნი, როგორც ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სისტემატიკური კურსის პირველი სახელმძღვანელო, ეჭვი არაა, საჭირო დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტობასა და მასწავლებლობას, ისე ლიტერატურის მეთოდიკის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

წიგნი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით, ნათელი და მკაფიო სტილით. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია გემოვნებით შერჩეული და პრაქტიკულად შემოწმებული ლიტერატურული მასალა, რომლის სწავლებასაც ითვალისწინებს V-VII კლასების მოქმედი პროგრამა. ფართოდაა გამოყენებული როგორც ავტორის პირადი, ისე ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა მდიდარი გამოცდილება, რაც დიდად ამაღლებს წიგნის ღირსებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ სარეცენზიო სახელმძღვანელოს გამოცემით სასარგებლო საქმე გააკეთა. საჭიროა დაჩქარდეს მისი მეორე ნაკვეთის გამოცემაც. ამას მოითხოვს ქართული ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები.

ალ. ღანიშვილი.